საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7883
16/12/2022

7883-21-2-202212161622

შპს „ფერო ელოის ფროდაქშენის“ დირექტორს
ბატონ გიორგი ლეჟავას

მის: ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. N 3-2
ელ. ფოსტა: ni.lezhava@gmail.com

ბატონო გიორგი,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N6914 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, მშვიდობის ქუჩა №7 ფოლადის სადნობი ინდუქციური ღუმელების მოწყობა-ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ჰაერის ხარისხის მოდელირება შესრულებულია საწარმოო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 150 მეტრში მდებარე შპს „პროგრესის“ წისქვილკომბინატთან მიმართებით. ხოლო, არატექნიკურ რეზიუმეში აღნიშნულია, რომ გათვლები შესრულებულია უახლოეს დასახლებულ პუნქტთან, საწარმოს საკადასტრო საზღვრიდან 300 მეტრში;
- როგორც უკვე აღინიშნა, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში ჰაერის ხარისხის მოდელირება შესრულებულია 150 მეტრში მდებარე შპს „პროგრესის“ წისქვილკომბინატთან მიმართებით - კოორდინატით (-150; 130), თუმცა ცხრილში 7.1. (მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის შედეგები) აღნიშნული კოორდინატი არ არის მითითებული;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული წიდის დასაწყობების უბნის მობეტონების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად საწარმოს მუშაობის რეჟიმია დღეში 12 საათი, ვინაიდან დღე-ღამის სხვადასხვა პერიოდში მოქმედებს სხვადასხვა შეზღუდვა (მაგ: ხმაურთან მიმართებით) დაზუსტებას საჭიროებს საწარმოს სამუშაო დღის რეჟიმი საათების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ხმაურის თითოეული

წყაროს ხმაურის დონის მითითებით, გენ-გეგმაზე დატანილი უნდა იყოს ასევე ჯართის დამუშავების უბანი როგორც ხმაურის წყარო;

- მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორიიდან 100 მეტრში მდებარეობს შპს „დიდოსტატის" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი. აღნიშნულ ტერიტორიაზე შპს „დიდოსტატის" ცემენტის წარმოებაზე გაიცა №53 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (13.08.2010) და №2-639 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (08.07.2019), რომელიც 2019 წლის 2 აგვისტოს ბრძანებით გადაეცა შპს „სტანდარტ ცემენტს", თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არ არის მოცემული გზშ-ის ანგარიშში და შესაბამისად აღნიშნული საწარმო არ არის გათვალისწინებული კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას და სრულყოფილად ასახვას საჭიროებს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის მოსაზღვრე ტერიტორიების, ასევე ყველა ახლომდებარე მოქმედი ობიექტების (საწარმოდან 500 მ რადიუსში) და მათი ფუნქციური დატვირთვის შესახებ (მანძილების მითითებით) და კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გაბნევის ანგარიშის თანახმად, ერთ-ერთ საკონტროლო წერტილში (კვების მრეწველობის ობიექტი - წისქვილკომბინატი) მტვრის და აზოტის ორჟანგის კონცენტრაცია შეადგენს 0.80 ზდკ-ს. იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიშში არ არის გათვალისწინებული შპს „სტანდარტ ცემენტის"ცემენტის საწარმოს მავნე ნივთიერებების გაფრქვევა, ამასთან, საწარმოში დაგეგმილია მხოლოდ 90%-იანი ერთსაფეხურიანი გაწმენდის სისტემის (მტვერდამჭერი ციკლონი) მოწყობა. საჭიროა, გზშ-ის ანგარიშში განხილულ იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გაფრქვევის შემცირების ტექნოლოგიური ალტერნატივები, მათ შორის, სახელოებიანი ფილტრების გამოყენების საკითხი. ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს შპს „სტანდარტ ცემენტის" ცემენტის საწარმოსა და სხვა 500 მ-იან რადიუსში მდებარე საწარმოების ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები;
- გზშ-ის ანგარიშის მე-14 თავში (სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება) ადამიანთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის საფუძვლად მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას; ამავე თავში ყოველგვარი დასაბუთებისა და არგუმენტაციის გარეშე გაკეთებულია დასკვნა „სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობისათვის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გარემოსდაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა", დაზუსტებას საჭიროებს რას ეყრდნობა აღნიშნული ჩანაწერი, ჩაატარა თუ არა კომპანიამ შესაბამისი გამოკითხვა ქ. რუსთავის მოსახლეობასთან ან შეხვდა თუ არა უახლოესი დასახლებული პუნქტის მაცხოვრებლებს და რა კომუნიკაციის შედეგადაც გამოიკვეთა აღნიშნული დამოკიდებულება საქმიანობის მიმართ;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია (თავი 4 - საქმიანობის დაწყებისა და დამთავრების სავარაუდო თარიღი, საქმიანობის მიზნები) - „ყოველივე აქედან გამომდინარე (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის თანახმად) საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებიდან გამომდინარე ესაჭიროება შესაბამისი

გარემოსდაცვითი შეფასების გადაწყვეტილების მიღება. საწარმოს ფუნქციონირების გაგრძელება იგეგმება შესაბამისი ნებართვების აღების შემდეგ, სავარაუდოდ 2022 წლის მესამე კვარტალში“, დაზუსტებას საჭიროებს ზემოაღნიშნული ჩანაწერი, ვინაიდან გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილია საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებით;

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების/საკითხების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო